№307 2016 წლის 25 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის „მდ. ხობისწყლის შესართავში ნავთობპროდუქტების გადასატვირთი საზღვაო ტერმინალის მშენებლობაზე 2003 წლის 8 იანვრის №0026 გარემოსდაცვითი ნებართვისა და ყულევის საზღვაო ტერმინალთან მისასვლელი რკინიგზის მშენებლობაზე 2006 წლის 24 აგვისტოს №00035 გარემოზე ზემოქმედების ნებართვით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულების, აგრეთვე საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ კონვენციის (რამსარი) მოთხოვნათა შესაბამისად საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ 2008 წლის 6 მაისს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხელშეკრულების დადების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ს“ და „ტ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, შპს „შავი ზღვის ტერმინალთან“ ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას „მდ. ხობისწყლის შესართავში ნავთობპროდუქტების გადასატვირთი საზღვაო ტერმინალის მშენებლობაზე 2003 წლის 8 იანვრის №0026 გარემოსდაცვითი ნებართვისა და ყულევის საზღვაო ტერმინალთან მისასვლელი რკინიგზის მშენებლობაზე 2006 წლის 24 აგვისტოს №00035 გარემოზე ზემოქმედების ნებართვით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულების, აგრეთვე

საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ კონვენციის (რამსარი) მოთხოვნათა შესაბამისად საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ 2008 წლის 6 მაისს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**